

**„ხადას ხეობის განაშენიანების გეგმის კონცეფციის სტრატეგიული
გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშზე“**

დასკვნა

პროექტის დამკვეთი: აზიის განვითარების ბანკი

დამგეგმავი ორგანო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

განაშენიანების გეგმის და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შემსრულებელი საკონსულტაციო ორგანიზაცია: შპს „ბაუ დიზაინი“

ხადას ხეობა წარმოადგენს ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მდინარე არაგვის სათავეებთან.

საქართველოს კანონის “გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი”-ს ერთ-ერთი მიზანია სახელმწიფოსა და საზოგადოების გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების თანაზომიერი გათვალისწინება ისეთი სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე (მუხლი 2.3უნქტი 1.ქვეპ. გ), შესაბამისად, სტრატეგიული დოკუმენტები ამ მიზნებს უნდა შეიცავდეს.

წარმოდგენილ პროექტში შესაბამისად გათვალისწინებულია სოციალური ინტერესები, კერძოდ; სოციალური გარემო, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება გარკვეულწილად უარყოფით ზეგავლენას იქონიებს სოციალურ გარემოზე - მავნე ნივთიერებების, მტვრის ნაწილაკების და ხმაურის გავრცელება, არასათანადოდ წარმოებული საქმიანობები და სხვა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაგეგმილი საქმიანობების განხორციელება იქნება დროში შეზღუდული და მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება არ იქნება მუდმივი.

რაც შეეხება ეკონომიკურ ინტერესებს, სათანადოდ დასაბუთებული არ არის კერძოდ: ხეობაში იგეგმება ახალი საავტომობილო გზის დაპროექტება, ქაოტიური განვითარების თავიდან აცილების მიზნით შემუშავდა ხადას ხეობის განვითარების გეგმა. ახალი საავტომობილო გზის ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ მოსალოდნელია გაიზარდოს სატვირთო გადაზიდვები და დიზელის საწვავზე მომუშავე სატვირთო მანქანების რაოდენობა, მოწინავე ევროპული ქვეყნები, პრიორიტეტად ისახავენ და ცდილობენ შეამცირონ დიზელის საწვავზე მომუშავე მანქანების გამოყენება, რომ ქვეყანაში გაიწმინდოს ჰაერი და გლობალურ დაბინძურებაშიც შემცირდეს მისი „წვლილი“; დიზელის საწვავის წვის შედეგად გამოიფრქვევა ისეთი ქიმიური ნივთიერებები, როგორცაა აზოტის ოქსიდები, ნახშირწყალბადები, ნახშირჟანგი, ნახშირორჟანგი და გოგირდის ჟანგეულები, რომელიც წარმოიქმნება გოგირდის გაფრქვევის და ჰაერში

მისი ჟანგბადთან ზემოქმედების შედეგად. დიზელის გამონაბოლქვს უარყოფითი გავლენა აქვს როგორც ადამიანების ჯანმრთელობაზე, ასევე, გარემოზე. აღნიშნული ქიმიური ნივთიერებები ძალიან საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის და შეუძლია, გამოიწვიოს ასთმა, ბრონქიტი და სხვა რესპირატორული დაავადებები; ასევე, გაიზრდება ინფარქტების და ინსულტების რისკი განსაკუთრებით ისეთ ადამიანებში, ვისაც აქვს ჯანმრთელობის პრობლემები.

შესაბამისად, ხეობაშიც მოსალოდნელია ჰაერის მეტად დაბინძურება და იქმნება რისკი ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, ასევე ადგილობრივი თემების, ტურისტებისა და ვიზიტორებისათვის გაუარესდება საარსებო გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობა. შესაბამისად, დეტალურად უნდა იქნეს წარმოდგენილი და დასაბუთებული ქვეყნისათვის ეკონომიკური სარგებელი, იმ ზიანის გათვალისწინებით, რასაც გამოწვევს ახალი გზის მონაკვეთის გავლა ხადას ხეობაში. აღსანიშნავია, რომ დაპროექტებული უმეტესი ობიექტი განთავსებულია მაგისტრალის გასწვრივ. ამ შემთხვევაშიც გასაანალიზებელია ადგილობრივი თემების ეკონომიკური სარგებლიანობა და რამდენად მიმზიდველი იქნება ეს გარემო ტურისტებისა და ვიზიტორებისათვის ხომ არ იგეგმება ასეთ ადგილებში დამატებითი ღონისძიებები სუფთა გარემოს გაძლიერების და სხვა შესაბამისი ობიექტების მოწყობის კუთხით, მეტი “მწვანე კუთხე, სპორტული მოედნები და სხვა მსგავსი გამაჯანსაღებელი ობიექტი, რაც წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის ასახული.

ხადას ხეობის განვითარების წარმოდგენილი 3 ალტერნატივიდან, შერჩეულია - ალტერნატივა: 2. კონსერვაციის პრინციპებზე დაყრდნობით სიცოცხლისუნარიანი გარემოს შექმნა, სადაც ძირითადად ხაზგასმულია ხეობის სამი ძირითადი კომპონენტი და მათი ურთიერთკავშირები: მოსახლეობა/თემი, ლანშაფტი და მემკვიდრეობა. ხადის ხეობის განვითარების სკოპინგის განხილვისას მნიშვნელოვანია ახალი ავტომაგისტრალის მშენებლობა, რომლის ალტერნატივები წარმოდგენილი არ არის. არსებული ვერსიით და ავტორების აზრით, გუდაურსა და ხადას ხეობას შორის არსებული კავშირები კიდევ უფრო მოკლე და მოსახერხებელი გახდება. მიმდინარე ავტომაგისტრალის მშენებლობა ქვეშეთსა და კობის შორის, რომელიც ჩრდილო-სამხრეთის დერეფნის რთულ მონაკვეთს წარმოადგენს, ხოლო ახალი გზის პროექტით მაგისტრალი გვერდს აუვლის კურორტ გუდაურსა და ჯვრის უღელტეხილს.

პროექტის მიხედვით მშენებლობა 2024 წლის ბოლოს უნდა დასრულდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ არა მხოლოდ ფიზიკური მობილობა და კავშირები გააქტიურდება, არამედ მეტად სავარაუდოა, რომ გუდაურის ეკონომიკური და ფუნქციური გავლენა აქტიურად გავრცელდება ხეობის სოფლებში და შესაბამისი განვითარების მოდელის მიხედვით გუდაურის მსგავს პოზიტიურ და ნეგატიურ ცვლილებებს გამოიწვევს.

სასმელი, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები

საკვლევ არეალში წარმოდგენილია ორი მთავარი მდინარე-თეთრი არაგვი და ხადისწყალი. ორივე მდინარეს აქვს მაღალი დახრილობა, წყალი მოძრაობს ჩქარა და

საკვლევი არეალის ძირითად ნაწილში მდინარე ხადისწყალი გაედინება და შემდეგ უერთდება მდინარე თეთრ არაგვს. განაშენიანების გეგმით შემოთავაზებული ხედვების უმეტესობა მდინარე ხადისწყლის ხეობაში მდებარეობს და შესაბამისად სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას არსებობს მდინარის წყლის ხარისხზე უარყოფითი ზემოქმედების რისკები, რომელიც სათანადოდ არ არის შეფასებული. სტრატეგიულ დოკუმენტში მოცემული ახალი ობიექტების მოწყობა და გეგმარებით არეალში ადამიანთა რაოდენობის მატება დაკავშირებული იქნება დაბინძურებული ჩამდინარე წყლების რაოდენობის მოცულობის ზრდასთან და, შესაბამისად, არსებობს ზედაპირულ წყლებზე უარყოფითი ზემოქმედების რისკები ხანგრძლივი პერიოდით.

მდინარე არაგვზე მოწყობილია ჟინვალის წყალსაცავი (სარკის ფართობია 11,5 კმ², მოცულობა 520 მლნ. მ³). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მდ.არაგვი ჩაედინება GWP-ს სანიტარიული დაცვის ზონებში და ხორციელდება ქ. თბილისის წყალმომარაგება, ზედაპირული წყლების სათავეში რაიმე სახის დაბინძურების გამოსარიცხად, პროექტი სრულად უნდა იყოს დაცული მსგავსი რისკებისგან .

წარმოდგენილ კონცეფციას უნდა დაემატოს მოსახლეობის წყალმომარაგების საკითხის შესწავლა(წყალმომარაგების ტიპები, სასმელი წყლის ხარისხი, უწყვეტობა, ხელმისაწვდომობა, სასმელი წყლის დაბინძურება, მონიტორინგი და სხვა), მისი გაფართოების შესაძლებლობა განაშენიანების ახალ ტერიტორიებზე ნებისმიერ ალტერნატივაში. აქ ხაზი უნდა გაესვას განსაკუთრებით სასმელი წყლის ზეგავლენას მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, წყლის ფაქტორთან დაკავშირებული დაავადებების გავრცელების გამო. მიზანშეწონილია, შესწავლილ იქნეს ხადას ხეობის მოსახლეობის ხარისხიანი და უწყვეტი სასმელი წყალმომარაგებით უზრუნველყოფის არსებული საბაზისო დონე, დაიგეგმოს გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსი და გეგმის ამოქმედების მონიტორინგის ინდიკატორები.

ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი რა რაოდენობით სასმელი წყალი იქნება საჭირო მოსახლეობისა და დაგეგმილი ობიექტების ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ წლის მთელი პერიოდის განმავლობაში. როგორ და რომელი წყაროებიდან დაკმაყოფილდება გაზრდილი მოთხოვნა როგორც მოსახლეობის, ტურისტული ობიექტებისა და სასტუმროების, ასევე იმ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებისა და რძის და რძის პროდუქტების საწარმოების ამოქმედების შემდეგ.

ასევე არ არის სრულყოფილად ინფორმაცია საკანალიზაციო წყლების არინების შესახებ. ტერიტორიის მაღალი დახრილობის გამო ნებისმიერი ჩამდინარე წყალი მოხვდება მდინარეებში, რაც გააუარებებს როგორც ზედაპირული წყლების ხარისხს, ასევე ვიზუალურ და ესთეტიკურ მხარეს, რაც დაუშვებელია და ზემოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ხადას ხეობის საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგებისა და გამწმენდი ნაგებობების მოსაწყობად პრაქტიკულად არაფერია გაკეთებული, დღეისათვის ამ პრობლემის გადასაწყვეტად საჭირო იქნება მნიშვნელოვანი ძალისხმევა და მატერიალური დანახარჯები, მნიშვნელოვანი მოცულობის სამშენებლო სამუშაოების დაგეგმვა.

ბუნდოვანიანიადაგთან დაკავშირებული საკითხები, სადაც დასკვნის სახით გამოტანილია, რომ „(სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება პირდაპირ ზეგავლენას იქონიებს ნიადაგსა და გრუნტზე. წარმოდგენილი ხედვების ნაწილი მოიცავს ისეთ არეალებს, რომლებიც დღევანდელი მდგომარეობით აუთვისებელია. ასეთ ადგილებში ინფრასტრუქტურის მოწყობა ნიადაგის და გრუნტის სამუშაოების განხორციელებას ითვალისწინებს“. ა თუ არ მოხდა ნიადაგის და გრუნტის სამუშაოების წინასწარ შეფასება რამდენად შესაძლებელია ამ ურთულესი ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსება შეუსწავლელ და აუთვისებელ ტერიტორიაზე.

საბოლოო ჯამში აშენდება ახალი 5 გვირაბი, ხიდების ჯამური სიგრძე 1.6 კმ-ია, ხოლო მათგან ერთი - 426 მ. სიგრძისაა და 166 მ. სიმაღლის თაღოვანი ხიდი იქნება.

ახალი გზატკეცილი შეცვლის ხეობას, რომელიც ზამთარში მთლიანად გაუვალი ხდება და ძირითადად მიტოვებულია. ახალი რეალობის გათვალისწინებით ხადას ხეობის დაგეგმილი და მდგრადი განვითარების მიზნით განაშენიანების გეგმამ უნდა განსაზღვროს განვითარების პოტენციური მიმართულების ჩარჩო-პირობები და უპასუხოს უპირველესად ადგილობრივი მოსახლეობის და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

როგორც უკვე ზემოთ აღნიშნული იყო, წარმოდგენილი მასალის შესაბამისად, მდინარე ხადისწყალი და ხადისწყლის ხეობა გამოირჩევა დიდი დახრილობით (50-60%), რის გამოც მდინარე ხასიათდება ჩქარი დინებით და ღვარცოფებით.

არ არის განხორციელებული ტერიტორიაზე („ხადის ხეობის გგ-ს კონცეფცია“-საბაზისო ინფრასტრუქტურა მთელი ხეობისათვის, თავი A14. ბუნებრივი საფრთხეების მართვის გეგმა) უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არსებული ბუნებრივი საფრთხეების (ზვავი, მწყერი, ღვარცოფი, წყალმოვარდნა) დეტალური შესწავლა და ასევე პირველადი ღონისძიებების გატარება და შემდგომ არის დაგეგმილი ბუნებრივი საფრთხეების გრძელვადიანი მართვის გეგმის შემუშავება. ზემოაღნიშნული საკითხი ამ ეტაპისთვის არის შეუსწავლელი, რაც ქმნის საფრთხეს ადგილობრივი მოსახლეობისა და ვიზიტორებისათვის და წარმოადგენს რისკს ადამიანის ჯანმრთელობისათვის, მიზანშეწონილია ყველა ეს საფრთხე წინასწარ იქნეს შესწავლილი და გეგმაც აქედანვე შემუშავდეს.

ხადას ხეობაში მრავლად არის მინერალური წყლები. სამწუხაროდ, ისინი ბოლომდე არ არის შესწავლილი და სათანადოდ გამოყენებული. მათ რიცხვს მიეკუთვნება მდინარის ხეობაში, დინების თითქმის შუა ნაწილში, კალაპოტის მარჯვენა მხარეს გამოსული მჟავე მინერალური წყალი – ხადას ვეძა. საჭიროა ამ ადგილების დამატებითი კვლევების ჩატარება, სათანადო შესწავლა და სამედიცინო ჩვენებების დადგენა, რაც ასევე მნიშვნელოვანი იქნება სამომავლო განვითარებისათვის.

ხადას ხეობა ნაწილობრივ დაცლილია მოსახლეობისგან, თუმცა მიუხედავად ამისა, ძლიერია ადგილობრივი რელიგიური ტრადიციები, მნიშვნელოვანია ამ ტრადიციების შენარჩუნება და დაცვა. არაჩვეულებრივი ბუნებრივი, ისტორიული, ურბანული თუ არქიტექტურული მოცემულობები საშუალებას იძლევა სოფელი ხეობის გამორჩეულ

ეთნოგრაფიულ-კულტურულ ცენტრად იქცეს, სადაც თანაბარზომიერად იქნება შენარჩუნებული სოფლის ავთენტური ისტორიულ არქიტექტურული მემკვიდრეობა და მათთვის შესაბამისი საცხოვრებელი პირობები, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა და სხვ. რაც დეტალურად უნდა იყოს კონცეფციაში გაწერილი.

დასაქმება

წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტში სათანადოდ არ არის შეფასებული ხადას ხეობის სოფლებში დასაქმების საკითხი. მოცემულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია და საჭიროა მეტი დეტალური აღწერა, როგორ, რა ფორმებითა და საშუალებებით იქნება დაცული ადგილობრივი მოსახლეობების საჭიროებები და მათი მოთხოვნები დაკმაყოფილებული ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, უმუშევრობა ასოცირებულია ავადობის რისკის გაორმაგებასთან და გამოჯანმრთელების პრობლემებთან. უმუშევრობა ძლიერ კორელაციაშია თამბაქოს, ალკოჰოლის ჭარბ მოხმარებას, ღვიძლის ციროზს, წყლულოვან დაავადებებთან, ფსიქიკურ დარღვევებთან და ხელს უწყობს სუიციდის შემთხვევების ზრდას. დასაქმების აქტიური პოლიტიკა და მიზანმიმართული სოციალური დაცვის სისტემა ამცირებს უმუშევრობის გვერდით ეფექტებს.

პროექტში აღნიშნულია მხოლოდ ინფორმაცია, რომ პროექტის განხორციელების შემთხვევაში სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების სამუშაო ადგილი შეიქმნება. ამაში არ იგულისხმება ეკონომიკურად აქტიური, თვითდასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა. არ არის გაანალიზებული რა პროფესიის და კვალიფიკაციის მქონე ადამიანებზეა საუბარი, ასევე როგორი იქნება დაქირავებით და თვითდასაქმებულთა განაწილება, შესაბამისად, არსებობს თუ არა ადგილობრივთა შორის შესაბამისი კადრები, თუ უნდა დაიგეგმოს მუნიციპალიტეტის მიერ სათანადო საგანმანათლებლო პროგრამები.

მიზანშეწონილია ხედვაში წარმოდგენილი იყოს მოსაზრებები ხადას ფუნქციური დატვირთვების გადანაწილების მიზნით, მათ შორის, ტურისტული სფეროს მომსახურებისა და დასაქმების ადგილების მოწყობის, ახლომდებარე დასახლებული ადგილების განვითარებასთან დაკავშირებით. არ არის ნახსენები, დასაქმების გაზრდის კუთხით მოხდება თუ არა ასევე ადგილობრივ ტურიზმის განვითარებასთან ასოცირებული სპეციალობების მიხედვით საგანმანათლებლო ობიექტების არსებობის შესაძლებლობა, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, რაც გადინების გარეშე გამოიწვევს ახალგაზრდობის დასაქმებას.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება

ვინაიდან საპროექტო მაგისტრალის, მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაცია აუცილებლად მოახდენს გავლენას ხეობის ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ხმაურის ფონურ მდგომარეობაზე, საჭიროა, რომ სგმ-ს საბოლოო ანგარიშში ასახული იყოს გარემოს დაცვასთან და ადამიანის

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჭირო კვლევები და მონაცემები. ამასთან, საპროექტო მაგისტრალის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელებისა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის მოდელირების შედეგები. გათვლილი უნდა იყოს მშენებლობის პროცესში გამოყენებული ტექნოლოგიების და სატრანსპორტო საშუალებების მიერ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სავარაუდო დონეები და ხეობაში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების პოტენციური რისკები, შერბილების მეთოდები და ტექნოლოგიური საშუალებები, და ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზემოქმედების პრევენციის/მინიმიზაციის ეფექტური მიდგომები.

აღნიშნული ღონისძიებების ასახვის აუცილებლობა სტრატეგიულ გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში ნახსენებია, თუმცა საჭიროებს მეტ კონკრეტიზაციას და დეტალიზაციას ხეობის მოსახლეობის, მშენებლობაზე დასაქმებული და მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით. მიზანშეწონილია დაიგეგმოს სამომავლოდ ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგი. ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია „მწვანე ქალაქის“ და ენერგოეფექტურობის პრინციპების დანერგვა შენობა ნაგებობების მშენებლობის პროცესში.

ხმაური

პროექტით გათვალისწინებული ქვეშეთი-კობი მაგისტრალის მშენებლობა და ექსპლუატაცია გავლენას მოახდენს ხმაურის ფონურ მდგომარეობაზე .

ხმაურის მაღალი ინტენსივობის წარმოქმნა, აგრეთვე დაკავშირებული იქნება ლანდშაფტური , ბიომრავალფეროვნების პარკის განთავსებასთან და საექსპოზიციო მშენებლონასთან . ხმაურის და ჰაერის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა განაშენიანების ოპტიმალურად დაგეგმვა.

ხმაურის დონის შესწავლის შემდეგ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე არასასურველი გავლენის შემცირებისათვის უნდა დაიგეგმოს ან გამოყენებულ იქნას:

ხმაურის წყაროს საინჟინრო-ტექნიკური და ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული ღონისძიებები;

ხმაურისაგან დაცვის ობიექტზე შენობის კონსტრუქციების ხმაურსაიზოლაციო თვისებების გაზრდის კონსტრუქციულ-სამშენებლო მეთოდები და გეგმარებითი მეთოდები.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩატარდეს ხადას ხეობის ხმაურის გაზომვა, შეფასება და დაიგეგმოს შემცირების ღონისძიებები -„საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017წლის N398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

კლიმატის ცვლილება

წარმოდგენილ დოკუმენტში არაა სათანადოდ განმარტებული კლიმატის ცვლილების საფრთხეების, შერბილების და რისკების შემცირების ღონისძიებების შესახებ, უშუალოდ მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით. კერძოდ:

1. მაგისტრალის მშენებლობის პროცესში როგორი იქნება გაფრქვევების და სათბური აირების ემისიების დონე და ინტენსივობა .

2. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული დღეს არსებული საფრთხეების ანალიზი მაგისტრალის მშენებლობით გამოწვეული ბუნებრივ გარემოს ცვლილებასთან მიმართებაში. აქ იგულისხმება აფეთქებითი და ბურღვითი სამუშაოები ხიდებისთვის, გვირაბებისთვის და სხვა, რომელიც თავისთავად იწვევს ისეთი ადგილების გაჩენას, რომელიც წყალდიდობების, წყალმოვარდნების, ღვარცოფების, გახანგრძლივებული წვიმების და სხვ (რომელიც გახშირებულია ბოლო ათწლეულებში საქართველოში, როგორც კლიმატის გლობალური ცვლილების შედეგი) დროს ადვილად იქცევა ბუნებრივი კატასტროფის ზონად (ეროზიული უბნები, მეწყერები, და სხვ.). საჭიროა პროგნოზული (ექსპერტული) შეფასებები.

3. რა ღონისძიებები და ტექნოლოგიური საშუალებები იქნება გამოყენებული მაგისტრალის მშენებლობის პროცესში, რომელიც თავიდან აგვაცილებს/მინიმუმამდე შეამცირებს ასეთ საფრთხეების გაჩენას.

ელექტრომაგნიტური ველის გამოსხივება

ხადას ხეობის სტრატეგიული განვითარებისთვის წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის საფუძველზე, აშკარაა, რომ ხეობის განვითარების კონცეფცია ეფუძნება კონსერვაციის პრინციპზე დაყრდნობით სიცოცხლისუნარიანი გარემოს შექმნას 13 სოფლისათვის, რომლებიც წარმოადგენს ამ ხეობის ღერძს, რაც ნამდვილად მისასალმებელია.

ბუნებრივია, სოფლების გეოგრაფიულ-ლანდშაფტური, კულტურული და რელიგიური ავთენტურობის შენარჩუნებით სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და ადგლობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის შექმნა, ტურისტული მიზიდულობის არეალებად გარდაქმნის გზით მნიშვნელოვანი და ხელშემწყობი ფაქტორია ამ ტერიტორიების სოცოცხლისუნარიანობისა და მდგრადი განვითარებისათვის. ასეთი გარემოს ჩამოყალიბება თანამედროვე ინფრასტრუქტურული (ვიზიტორთა ცენტრები, საოჯახო სასტუმროები, ბავშვთა აღზრდის/განათლების და სამედიცინო ცენტრები,) და საკომუნიკაციო საშუალებების (მ.შ. მაგისტრალური და საფეხმავლო გზები და ხიდები, მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობა და ინტერნეტი) განვითარების გარეშე შეუძლებელია. ვინაიდან პროექტის განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანესია უწყვეტი სატელეფონო და ინტერტენ კომუნიკაცია, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ელექტრომაგნიტური გამოსხივება, უნდა შეფასდეს ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკები და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების/ანძების მშენებლობა/ინსტალაცია განხორციელდეს

ისეთი გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომელიც შეამცირებს ელექტრომაგნიტური გამოსხივების მავნე ეფექტებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ადგილობრივი მოსახლეობისაგან უსაფრთხო დაშორებით და ტერიტორიების დაცვით. წარმოდგენილ დოკუმენტში ნათლად არ არის განხილული ასეთი გადაწყვეტილებები და სასურველია, სტრატეგიული დოკუმენტის ანგარიშის წარმოდგენის ეტაპზე დეტალურად იქნეს განხილული ეს საკითხი.

ნარჩენების მართვა

სკოპინგის დოკუმენტის და განაშენიანების გეგმის მიხედვით, ხადას ხეობის სოფლები და ხეობის მიმდებარე ტერიტორიები ტურისტული მიზიდულების ადგილებად უნდა იქცეს, რაც, როგორც ტურისტული ნაკადების ზრდის, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაციის/უკან დაბრუნების და ადგილზე დამაგრების ხელშემწყობი ფაქტორია. აღნიშნული, პირდაპირკავშირში იქნება, როგორც მუნიციპალური, ასევე, სხვა ტიპის ნარჩენების წარმოქმნასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, უნდა მოხდეს ხეობის ზონირება საქმიანობიდან გამომდინარე. 13 სოფლიდან 12 სოფელში იგეგმება საოჯახო სასტუმროების მოწყობა, რესტორნების, ფერმების, ყველის წარმოების ადგილების შექმნა, ასევე, საერთო სარგებლობის სივრცის, ბავშვებისთვის საექსპოზიციო ფერმის, საჯინიბოს, კემპინგის მშენებლობა და სხვადასხვა ტიპის და დანიშნულების ბილიკების მოწყობა, რაც, რა თქმა უნდა გამოიწვევს სხვადასხვა ტიპის როგორც მყარი, ასევე თხევადი ნარჩენების წარმოქმნას. ხეობის გეოლოგიურ/გეოგრაფიული თავისებურებიდან გამომდინარე, აუცილებელია, ნარჩენების მართვის სპეციფიკური გადაწყვეტილებების შემუშავება, განსაკუთრებით, საკანალიზაციო ნარჩენ წყლებთან დაკავშირებით.

წარმოდგენილ დოკუმენტში მწირია ინფორმაცია ნარჩენების მართვის მიმართულე-ბით. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული დოკუმენტი „გეგმარებით არეალში არსებული დასახლებული პუნქტებისთვის შესაბამისი საკანალიზაციო სისტემის მოწყობასაც ითვალისწინებს“, არ არის წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია როგორი სტუქტურული მოწყობა ექნება ამ სისტემას, სად და როგორ ჩაიდგრება საკანალიზაციო წყლები და გაწმენდის რა მეთოდები იქნება გამოყენებული. ასევე, არ არის მოწოდებული ინფორმაცია, მუნიციპალური ნარჩენების მართვის შესახებ. მაგ. ტურისტული მიზიდულობის ადგილებში, მნიშვნელოვანია ნარჩენების შეგროვება/გატანის სხვადასხვა გადაწყვეტილებების შემოთავაზება სეზონების გათვალისწინებით.

აუცილებელია, წინასწარ განისაზღვროს ტურისტული ბილიკებისა და სანახაობრივი/გასართობის ადგილებისათვის ნარჩენებისათვის განსათავსებელი ურნების ლოკალიზაციები ხელმისაწვდომობის და ადვილად გატანის თვალსაზრისით. ფერმების, საჯინიბოს, საექსპოზიციო ფერმის და სხვა ტურისტული სანახაობრივი ადგილებისათვის, ყურადღებით უნდა შეირჩეს ნარჩენების მართვის

გადაწყვეტილებები. მნიშვნელოვანია, სამედიცინო და ვეტერინარული ცენტრების და აფთიაქების ფუნქციონირებისას, გათვალისწინებულ იქნას სამედიცინო ნარჩენების მართვისადმი წაყენებული კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციები. ვინაიდან ხადას ხეობის განვითარების გეგმა მოიცავს ორი მუნიციპალიტეტს - დუშეთისა და გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის შემადგენლობაში შედის, სასურველია შემუშავებულ იქნეს ნარჩენების ერთიანი გეგმა, რომლის მართვასაც ორივე მუნიციპალიტეტი ერთობლივად, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებს.

დასკვნა

წარმოდგენილი მასალების მიხედვით ხადას ხეობის განაშენიანების გეგმის კონცეფციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშში არ არის სათანადოდ შეფასებული ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი ძირითადი პრიორიტეტული რისკ-ფაქტორები და არ არის საკმარისი ინფორმაცია მოძიებული, როგორც არსებული სიტუაციის, პროგნოზირებისა და ალტერნატივების შესაფასებლად ხადას ხეობის საკვლევ ტერიტორიაზე.

ყოველივე ზემოთ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ შეთანხმდება ხადას ხეობის განაშენიანების გეგმის კონცეფციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი



თამარ გაბუნია